საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური

პროგრამის კატალოგი

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება: №113 28.07 2011წ.

European Commission
TEMPUS

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

სწავლების საფეხური	პროფესიული განათლება
პროგრამის დასახელება	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის III საფეხურის კვალიფიკაცია
პროგრამის ხელმძღვანელები	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გოჩა გოგიტიძე g.s.gogitidze@bsma.edu.ge
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, რუსთაველის ქ. №53 ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge
პროგრამის მოცულობა	60 ECTS
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა	ზოგადი განათლების სატესტო საფეხური და პროფესიული ტესტირების შედეგები.
სწავლების ენა	ქართული ენა
სწავლების ფორმატი	ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, სასწავლო საცურაო პრაქტიკა

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს გემის დამხმარე დონის რიგითი მეზღვაური - კვალიფიკაცია „III საფეხურის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ კომპეტენციებით, რაც აუცილებელია:

- *საოკეანო სავაჭრო გემებზე დამხმარე დონის, რიგითი შემადგენლობის თანამდებობის დასაკავებლად;*
- *საზღვაო ტრანსპორტის ფუნქციონირების სფეროში დამხმარე დონის, რიგითი შემადგენლობის თანამდებობის დასაკავებლად;*
- *IV საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;*

პროგრამის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული შეიძენს დარგობრივ კომპეტენციებს. მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე მას ენიჭება დამხმარე დონის მეზღვაურის კვალიფიკაცია რაც ადასტურებს, რომ მის მფლობელს შესწევს უნარი განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს პროფესიული მოვალეობები და ადექვატურად იმოქმედოს წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად, კერძოდ:

- *გაწიოს ვახტა სამანქანე განყოფილებაში, მართვის ცენტრალურ პუნქტზე, შეასრულოს მთავარი ძრავის მანევრები სავახტო მექანიკოსის მეთვალყურეობით;*
- *სამუშაოდ მოამზადოს, მოემსახურის და აკონტროლოს მთავარი ძრავა, დიზელგენერატორი, დამხმარე მექანიზმები და სისტემები.*
- *იმოქმედოს განგაშის ყველა სახეობის ადექვატურად ეკიპაჟის და საკუთარი სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასევე შეასრულოს სხვა მოთხოვნები კომპეტენციის შესაბამისად.*

სწავლის შედეგები აღწერილია ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად:

- *საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;*
- *საერთაშორისო კონვენცია (STCW) „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ“;*
- *საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“;*
- *პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კონკრეტული საფეხური და დარგობრივი პროფესიული სტანდარტი;*

პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი 60 ECTS კრედიტი 2 სემესტრში: 30 კრედიტი თეორიული სწავლებისათვის და 30 კრედიტი პრაქტიკული მომზადებისათვის

სემესტრის ხანგძლივობა შეადგენს 19 კვირას, 15 კვირა ეთმობა მეცადინეობების ჩატარებას, 4 კვირა – სტუდენტთა ცოდნის შეფასებას. გამონაკლისს წარმოადგენს II (სასწავლო საცურაო პრაქტიკის) სემესტრი, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 24 კვირას (19+5 კვირა) ანუ 6 თვეს.

პრაქტიკის სემესტრის ხანგრძლივობა განპირობებულია მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ კანონისა და STCW კონვენციაში მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების პროცესში შესაბამისი საცურაო სტაჟის მინიმალური ხანგრძლივობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სასწავლო საცურაო პრაქტიკას სტუდენტები გადიან გემზე ან/და აკადემიის სასწავლო სახელოსნოებში.

დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და გემზე სასწავლო-საცურაო პრაქტიკის გავლის შედეგად კურსდამთავრებული მოიპოვებს გემზე სამუშაო ლიცენზიისათვის აუცილებელ საცურაო სტაჟს, რაც აუცილებელია რიგითი შემადგენლობის კომპეტენციის მისაღებად.

კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს:

- საზღვაო სავაჭრო გემებზე;
- სამგზავრი გემებზე;
- ნავსადგურის სასამსახურო-დამხმარე ფლოტის გემებზე;
- თევზსაჭერი ფლოტის გემებზე და სხვა.

ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ საზღვაო აკადემიის აკადემიური პერსონალი და დარგის მოწვეული სპეციალისტები:

- ასოცირებული პროფესორი – 6;
- დარგის სპეციალისტები - 11;

მატერიალური რესურსი

პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მომზადების პროცესში გამოიყენება:

- სასწავლო სახელოსნოები - შედუღების, საზეინკლო, სახარატო, ელექტროსამონტაჟო და სატაკელაჟო საქმის;
- დიზელის რეალური ძრავებით აღჭურვილი სამანქანე დარბაზი;
- სამაშველო კანჯოს წყალზე დაშვების ტრენაჟერი;
- ვახტის გაწევის საწვრთნელი ტრენაჟერი გემის რიგითი შემადგენლობისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად საზღვაო აკადემია გამოიყენებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებს, პროექტორებს და სადემონსტრაციო მონიტორებს.

შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №121/ნ 2010 წლის 10 დეკემბერი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე. კერძოდ, შეფასება ყოველ სასწავლო კომპონენტში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში.

თქვენი წარმატება ჩვენი მისია!